

ჯოჯიაკარტის პრინციპები

აღმნიანის უფლებათა
საერთაშორისო სტანდარტებისა
და ნორმების გამოყენების
პრინციპები საქსუალურ
ორიენტაციასა და გენდერულ
იდეოლოგიასთან მიმართებაში

ბროშურა გამოცემულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ნიდერლანდების ევროპული ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს წარმომადგენლის მხარდაჭერით - ნიდერლანდების საელჩო საქართველოში.

თარგმანი და სამართლებრივი ადაპტირება: გ. სიამაშვილი, ც. რატიანი



Kingdom of the Netherlands

ორიგინალური ტექსტი ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ:
www.yogiakartaprinciples.org

ჯოჯიაკარტის პრინციპები

ადამიანთა უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და
ნორმების გამოყენების პრინციპები სექსუალურ ორიენტაციასა
და გენდერულ იდენტობასთან მიმართებაში

	შესავალი.....	4
	პრეამბულა	7
პრინციპი 1.	ყველა უფლებათა და თავისუფლებათა უნივერსალური ფლობის უფლება.....	10
პრინციპი 2.	თანასწორობისა და არადისკრიმინაციის უფლება	10
პრინციპი 3.	კანონიერი უფლებების მქონე პირის მიერ აღიარების უფლება ...	12
პრინციპი 4.	სიცოცხლის უფლება	13
პრინციპი 5.	პირადი შეუხებლობის უფლება.....	14
პრინციპი 6.	კერძო ცხოვრების ხელშეუვალობის უფლება.....	15
პრინციპი 7.	თავისუფლების თვითნებურად ხელყოფისგან დაცვის უფლება.....	17
პრინციპი 8.	სამართლიანი სასამართლოს უფლება	18
პრინციპი 9.	ჰუმანური მოპყრობის უფლება პატიმრობაში ყოფნის დროს...	19
პრინციპი 10.	უფლება არ გახდეს წამების, სისასტიკის, არაადამიანური ან ადამიანის ღირსებისთვის დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი.....	20
პრინციპი 11.	ადამიანებით ვაჭრობისგან და ნებისმიერი სხვა სახით ექსპლუატაციისგან დაცვის უფლება.....	21
პრინციპი 12.	შრომის უფლება	22
პრინციპი 13.	სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სხვა ფორმების უფლება.....	22
პრინციპი 14.	ცხოვრების საკმარისი დონის უფლება	23
პრინციპი 15.	საკმარისი საცხოვრებლის უფლება	23
პრინციპი 16.	განათლების მიღების უფლება	25
პრინციპი 17.	ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონის მიღწევის უფლება	26
პრინციპი 18.	დაცვა სამედიცინო ხასიათის დარღვევებისგან	29
პრინციპი 19.	რწმენის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება.....	31
პრინციპი 20.	მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების უფლება.....	30
პრინციპი 21.	სინდისის, აზრის და რელიგიის თავისუფლების უფლება	31
პრინციპი 22.	თავისუფალი გადაადგილების უფლება	32
პრინციპი 23.	თავშესაფრის მოთხოვნის უფლება	32
პრინციპი 24.	ოჯახის შექმნის უფლება	33
პრინციპი 25.	სახელმწიფო საქმეების წარმოებაში მონაწილეობის უფლება	34
პრინციპი 26.	კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.....	35
პრინციპი 27.	ადამიანის უფლებების დაცვის უფლება	35
პრინციპი 28.	ეფექტური სამართლებრივი დაცვისა და ზარალის ანაზღაურების უფლება.....	36
პრინციპი 29.	პასუხისმგებლობა	38
	დამატებითი რეკომენდაციები	39
	საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა	42

შესავალი ზოპიკარტის პრინციპებისათვის

ადამიანები თავისუფალნი და თანასწორნი იბადებიან თავიანთ ღირსებასა და უფლებებში. ყველა უფლებები და თავისუფლებები არის უნივერსალური, ურთიერთდაკავშირებული, განუყრელი და ურთიერთდამოკიდებული. „სექსუალური ორიენტაცია“¹ და „გენდერული იდენტობა“² ყოველი პიროვნების ღირსების განუყრელი ელემენტებია და ისინი არ შეიძლება იქცეს დისკრიმინაციის ან რაიმე სხვა დარღვევების საფუძვლად.

უკვე ბევრია გაკეთებული საიმისოდ, რომ ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პიროვნებას საშუალება მიეცეს იცხოვროს ისეთივე ღირსებით და პატივით, როგორც გააჩნიათ სხვა ადამიანებს. მრავალი ქვეყნის კონსტიტუციებსა და კანონებში შესულია უფლებათა გარანტიები უთანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მიუხედავად სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

მიუხედავად ამისა, პიროვნებათა უფლებების დარღვევა მათი რეალური ან ასეთად აღქმული სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის მიხედვით ზოგადასაკაცობრიო დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რაც, ბუნებრივია, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამგვარი დარღვევები გამოხატულებას ჰპოვებენ სასამართლოს გარეშე ანგარიშსწორებაში, წამებაში, შეუფერებელ მოპყრობაში, სექსუალურ ძალადობასა და გაუპატიურებაში, პირად ცხოვრებაში ჩარევაში, თვითნებურ დაკავებაში, განათლების ან სამუშაო ადგილის მოპოვების უფლების ხელყოფაში. ასევე სხვა უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობის სერიოზულ დისკრიმინაციაში. ამგვარ დარღვევებს ხშირად თან ახლავს ძალადობის სხვა ფორმები, სიძულვილი, დისკრიმინაცია, გარიყვა, მათ შორის რასობრივი, ასაკობრივი, რელიგიური, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობით და სხვა ნიშნით.

1 სექსუალური ორიენტაცია მოიაზრება როგორც ამა თუ იმ პიროვნების ძლიერი ემოციური, სექსუალური მიდრეკილება განსხვავებული, იმავე, ან ორივე სქესის ადამიანების მიმართ, ასევე როგორც მზაობა ამ პიროვნებებთან ინტიმური სექსუალური კავშირის დამყარებისა.

2 გენდერულ იდენტობაში იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი შინაგანი გენდერული მიკუთვნებულობის სიღრმისეული განცდა, რომელიც შესაძლოა ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ადამიანის დაბადების სქესს. გენდერულ იდენტობაში ასევე იგულისხმება საკუთარი სხეულის ინდივიდუალური შეგრძნება (თავისუფალი ნების არსებობის პირობებში ამაშ შესაძლოა ახლდეს გარეგნობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლა სამედიცინო, ქირურგიული ან სხვა საშუალებებით) ასევე სხვაგვარი გამოვლინებები, როგორც არის ტანსაცმელი, მეტყველება და ქცევის თავისებურებანი.

მრავალ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებში გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის ნორმების თავსმოხვევა ხდება ადათების, კანონების და ძალადობის მეშვეობით და ადგილი აქვს პიროვნებათა ურთიერთობაზე და თვითიდენტიფიკაციაზე კონტროლის დაწესების მცდელობას. პოლიციური დამოკიდებულება სექსუალობის მიმართ რჩება ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, რის გამოც გრძელდება ძალადობა გენდერული ნიშნით და შენარჩუნებულია გენდერული უთანასწორობა.

საერთაშორისო თანამეგობრობაში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით ოჯახსა, თემსა თუ საზოგადოებაში ძალადობისგან დაცვის თვალსაზრისით. გაეროს ძირითადი მექანიზმები ადამიანის უფლებათა სფეროში ადასტურებენ სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ყოველი პიროვნების ეფექტური დაცვა დისკრიმინაციისგან სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის ნიშნით. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო რეაგირება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებზე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე რჩება გახლეჩილი.

ამ პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების მთელი კომპლექსის თანმიმდევრული გააზრება და მათი მისადაგება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებთან. ყველა ადამიანის ყველა თავისუფლებათა და უფლებათა დაცვის ნახალისებისთვის თანასწორ და არადისკრიმინაციულ საფუძველზე, პრინციპულად მნიშვნელოვანია გაირკვეს და დაზუსტდეს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სფეროში.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კოალიციათა სახელით იურისტთა საერთაშორისო კომისია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამსახური შეეცადა შეემუშავებინა საერთაშორისო იურიდიული პრინციპების გამოყენების ნუსხა, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებას ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, რათა გარკვეული და მონესრიგებული გახდეს სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სფეროში.

წინამდებარე პრინციპების ფორმულირება, შემუშავება და განხილვა ხორციელდებოდა ადამიანის უფლებათა სფეროში ავტორიტეტულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეხვედრის შედეგად ოცდახუთი ქვეყნის ოცდაცხრა სხვადასხვა პროფილის ავტორიტეტულმა ექსპერტმა ადამიანის

უფლებათა სფეროში 2009 წლის 6-9 ნოემბერს ერთსულოვნად მიიღო ჯოკიაკარტის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენების პრინციპები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიმართ, რომლების იმართებოდა ინდონეზიაში ჯოკიაკარტაში, გაჯა მადას უნივერსიტეტში.

პროექტის მომზადებაში და დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა ექსპერტული შეხვედრის მომხსენებელმა, პროფესორმა მაიკლ ო' ფლაერთმა. მისი საქმისადმი ერთგულება და განუწყვეტელი ძალისხმევა აღმოჩნდა ამ პროცესის წარმატებით დასრულების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

ჯოკიაკარტის პრინციპები მოიცავენ სტანდარტების ფართო სპექტრს ადამიანის უფლებათა სფეროში და მათი გამოყენების შესაძლებლობას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში. პრინციპები ადასტურებენ, რომ სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობა მდგომარეობს ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაში. ყოველი პრინციპი შეიცავს დანერგვებით რეკომენდაციებს სახელმწიფოთათვის. ამასთანავე, საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა ევალება ყველა სუბიექტს. არასახელმწიფო სუბიექტებს, მათ შორის გაეროს მექანიზმებს ადამიანის უფლებათა სფეროში, ეროვნულ უფლებადამცველ ინსტიტუტებს, მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და დონორებს მიეწოდებათ დამატებითი რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები ამოდიან იქიდან, რომ ჯოკიაკარტის პრინციპებში ასახულია საერთაშორისო ნორმების დღევანდელი მდგომარეობა ადამიანის უფლებათა სფეროში, რომელიც გამოიყენება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით. ამავე დროს, ისინი არ გამორიცხავენ სახელმწიფოს დამატებითი ვალდებულებების გაჩენას არსებულ ნორმათა განვითარების კვალობაზე.

ჯოკიაკარტის პრინციპები ამტკიცებენ სახელმწიფოთათვის იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო-სამართლებრივ სტანდარტებს. ისინი მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ მომავალი, რომელშიც ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალს და თანასწორს, თავის ღირსებებსა და უფლებებში მიეცემათ საშუალება დარჩნენ ასეთებად.

სონია ონუფერ კორრეა,
თანათავჯდომარე

ვიტიტ მუნტარბხორნი,
თანათავჯდომარე

ჩვენ, ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების სფეროში და ამჟამინდელი ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში

პრეამბულა

გახსენებთ რა, რომ ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანასწორნი თავიანთ ღირსებებსა და უფლებებში და რომ ყოველი ადამიანი უნდა სარგებლობდეს ყველა უფლებებითა და თავისუფლებებით რაიმე განსხვავების გარეშე, მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური კუთვნილებისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ნაციონალური ან სოციალური წარმომავლობისა, მატერიალური მდგომარეობისა, დაბადებისა ან სხვა რაიმე გარემოებებისა;

შეშფოთებულნი იმ გარემოებით, რომ მთელს მსოფლიოში ადამიანები მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო იქცევიან ძალადობის, შევიწროების, დისკრიმინაციის, განდევნის, სტიგმატიზაციის, ქედმაღლური დამოკიდებულების ობიექტებად. ამგვარი დამოკიდებულება გამოსატყულებას ჰპოვებს დისკრიმინაციაში, მათ შორის, გენდერული კუთვნილების ნიშნით, რასობრივი, ასაკობრივი, რელიგიური, ინდივიდუალური, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ეკონომიკური მდგომარეობით. ასევე შეშფოთებას გამოვხატავთ იმის გამო, რომ ამგვარი ძალადობა, შევიწროება, დისკრიმინაცია, განდევნა, სტიგმატიზაცია, წინასწარგანწყობა ნეგატიურად აისახება იმ პიროვნებებზე, რომლებიც ხდებიან მსგავსი დარღვევების მსხვერპლნი, ამგვარი დამოკიდებულების შედეგად მათ შესაძლოა გაუჩნდეთ არასრულფასოვნებისა და გარიყულობის განცდა, რაც აიძულებს მათ საკუთარი იდენტობის დათრგუნვას, დამალვას, ცხოვრებას მუდმივი საშიშროების მოლოდინში;

ვაცნობიერებთ რა, რომ ისტორიულად ასეთი ადამიანები უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი ხდებიან, რადგან ისინი ითვლებიან ან არიან ლესბოსელები, ჰომოსექსუალები ან ბისექსუალები, მათი ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობათა გამო მათივე სქესის წარმომადგენლებთან, ან იმის გამო, რომ ისინი ითვლებიან ან არიან ტრანსსექსუალები,

ტრანსგენდერი, ინტერსექსუალები ან მიეკუთვნებიან სოციალურ ჯგუფებს, რომელთა იდენტიფიცირება ზოგიერთ საზოგადოებაში ხდება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიხედვით;

გვესმის რა, „სექსუალური ორიენტაცია“ როგორც ამა თუ იმ პირის ღრმა ემოციური, სექსუალური კავშირის დამყარების უნარი საწინააღმდეგო, იმავე, ან ორივე სქესის წარმომადგენლებთან, და ასევე ასეთ ადამიანებთან ინტიმური და სექსუალური კავშირების დამყარება.

გვესმის რა, „გენდერული იდენტობა“ როგორც ინდივიდის მიერ გენდერული მიკუთვნებულობის შინაგანი და ინდივიდუალური თავისებურებების სიღრმისეული გაცნობიერება, იმ თავისებურებებისა, რომლებიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს მის დაბადების სქესს, იგულისხმება საკუთარი სხეულის ინდივიდუალური შეგრძნება (თავისუფალი ნების შემთხვევაში შესაძლებელია გარეგნობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების სამედიცინო ან ქირურგიული საშუალებებით შეცვლა), ასევე სხვაგვარი გამოვლინებები, როგორც არის სამოსი, მეტყველება და ქცევის თავისებურებანი.

აღვნიშნავთ რა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებით აღიარებულია ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ყველა უფლება და თავისუფლება, ადამიანის უფლებათა არსებული გარანტიები უნდა ითვალისწინებდეს სიტუაციის სპეციფიკას და სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის პირთა მდგომარეობას. ამასთანავე, ყველა მოქმედებაში ბავშვებთან მიმართებაში უპირველესი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ბავშვის ინტერესების საუკეთესო უზრუნველყოფას. ასევე ყოველ ბავშვს, რომელსაც შესწევს საკუთარი შეხედულებების ფორმულირების უნარი, უნდა მიეცეს უფლება, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებები, ამასთან მათ უნდა ეთმობოდეს სათანადო ყურადღება ბავშვის ასაკისა და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღვნიშნავთ რა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმები უპირობოდ კრძალავენ დისკრიმინაციას იმ სფეროებში, რომლებიც ეხება უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობას -სამოქალაქო, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ სფეროში, ასევე სექსუალური უფლებების პატივისცემა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის უზრუნველყოფის განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმ ცრურწმენებისა და ადათნესების ამოძიკვას, რომლებიც ეფუძნება ერთი სქესის არასრულფასოვნების, ხოლო მეორე სქესის უპირატესობის წარმოდგენებს, ან ქალისა და

მამაკაცის სტერეოტიპულ როლებს. ასევე აღვნიშნავთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს ყოველი პიროვნების უფლებას ყოველგვარი იძულების, დისკრიმინაციის და ძალადობის გარეშე თავისუფლად და პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სექსუალობას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით;

გამომდინარე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების გამოყენების სისტემატიზაციის მნიშვნელობიდან და მათი დაცვის პრინციპებიდან სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან.

ვ აღიარებთ, რომ ამგვარი სისტემატიზაცია უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების თანამედროვე მდგომარეობას, და მოითხოვს რეგულარულ გადახედვას, ახალი მდგომარეობის გასათვალისწინებლად და მათ გამოყენებას კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის პირებთა გამოცდილებას სხვადასხვა ქვეყნაში და რეგიონში.

ჯორჯიაკარტაში გამართულ ექსპერტული
შეხვედრის შედეგების მიხედვით,
ინტონეზია, 2006 წ. 6-9 ნოემბერი,
შემსუავებული იქნა შემდეგი პრინციპები:

1

ყველა უფლებათა და თავისუფლებათა უნივერსალური ფლობის უფლება

ადამიანები თავისუფლები და თანასწორნი იბადებიან თავიანთ ღირსებებსა და უფლებებში. ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირებს აქვთ ყველა უფლებებით და თავისუფლებებით მთლიანი მოცულობით ფლობის უფლება.

სახელმწიფოები:

- ა. შეაქვთ თავიანთ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ყველა უფლებათა და თავისუფლებათა უნივერსალობის, ურთიერკავშირის, ურთიერთდამოკიდებულების და განუყოფელობის პრინციპები, და უზრუნველყოფენ პრაქტიკაში რეალიზებას ყველა უფლებათა და თავისუფლებათა უნივერსალურ ფლობას;
- ბ. მთელი კანონმდებლობა, მათ შორის სისხლის სამართალი, შესაბამისობაში მოყავთ ყველა უფლებათა და თავისუფლებათა უნივერსალურ ფლობის პრინციპთან.
- გ. ახორციელებენ სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც ორიენტირებულია თავისუფლებებისა და უფლებების ფლობაზე ყოველი პიროვნებისთვის მთლიანი მოცულობით, მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად.
- დ. სახელმწიფო პოლიტიკაში და გადანყვეტილებათა მიღების მექანიზმებში მოქმედებაში მოყავთ პლურალისტური მიდგომა, რომელიც ამკვიდრებს და აღიარებს ადამიანის იდენტობის ყველა ასპექტის ურთიერთკავშირს და განუყოფელობას, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის.

2

თანასწორობისა და არადისკრიმინაციის უფლება

ყოველ ადამიანს აქვს უფლება განახორციელოს საკუთარი უფლებები და თავისუფლებები დისკრიმინაციის გარეშე სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იყოს თანასწორი კანონის წინაშე და თანაბრად იყოს დაცული კანონის მხრიდან ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით იმისგან დამოუკიდებლად, ირლვევა თუ არა სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ფლობის პრინციპი. ნებისმიერი

ამგვარი სახის დისკრიმინაცია აკრძალული უნდა იყოს კანონით, ხოლო ყოველი პიროვნებისთვის კანონმდებლობით უნდა იყოს გარანტირებული ამგვარი დისკრიმინაციისაგან ეფექტური დაცვა.

დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე გულისხმობს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას გამომდინარე სექსუალური ორიენტაციიდან ან გენდერული იდენტობიდან, რომლის მიზანი ან შედეგია, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპის მოსპობა ან დაკნინება, ან კანონის მხრიდან თანაბარი დაცვის, ან აღიარება, გამოყენება და განხორციელება თანაბარ საწყისებზე ადამიანის ყველა ძირითადი უფლების და თავისუფლების. დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შესაძლოა ახლდეს, და ხშირად ახლავს კიდევ, დისკრიმინაცია სხვა ნიშნების მიხედვით, მათ შორის სქესობრივი კუთვნილების, რასობრივი, ასაკობრივი, რელიგიური, ჯანმრთელობის ან მატერიალური მდგომარეობის ნიშნით.

სახელმწიფოები:

- ა.** შეაქვთ თავიანთ კონსტიტუციებში და სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს ადრე არ იყო გაკეთებული, თანასწორობისა და არადისკრიმინაციის პრინციპები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით, მათ შორის შესწორებებისა და განმარტებების გზით და ასევე უზრუნველყოფენ ამ პრინციპების ეფექტურ რეალიზაციას;
- ბ.** აუქმებენ სისხლის სამართლის და სხვა საკანონმდებლობლო ნორმებს, რომლებიც კრძალავენ ან ფაქტობრივად გამოიყენებიან ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობების აკრძალვის საშუალებად. აქ საუბარია ადამიანებზე, რომლებმაც მიაღწიეს იმ ასაკს, რომლიდანაც ნებადართულია სექსუალურ ურთიერთობაში შესვლა ურთიერთთანხმობის საფუძველზე. ასევე უზრუნველყოფენ ასაკის თანასწორობას სექსუალური ურთიერთობისთვის როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი სქესის პიროვნებებს შორის;
- გ.** ღებულობენ საკანონმდებლო და სხვა სათანადო ზომებს, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვის და აღმოფხვრის მიზნით.
- დ.** ღებულობენ სათანადო ზომებს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირთა ადეკვატური განვითარების უზრუნველსაყოფად, რამდენადაც არსებობს ამის საჭიროება

რათა უზრუნველყოფილი იყოს ასეთი ჯგუფების ან პირთა მიერ ადამიანის უფლებებით თანაბარი სარგებლობა ან მათი განხორციელება; ამგვარი ზომების გატარება არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად.

- ე. ყოველი რეაგირების დროს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციაზე, ითვალისწინებენ ამგვარი დისკრიმინაციის შესაძლო ურთიერთკავშირის ხასიათს სხვა სახის დისკრიმინაციებთან.
- ვ. ლებულობენ ყველა სათანადო ზომებს, სასწავლო პროგრამების განხორციელების ჩათვლით, მიკერძოებული ან დისკრიმინაციული დამოკიდებულების ან მოპყრობის ამოსაძიკვავად. რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ან გენდერული იდენტობის გამოვლინების არასრულფასოვნებას ან უპირატესობას.

პრინციპი

3

კანონიერი უფლებების მქონე პირის მიერ აღიარების უფლება

ყოველ ადამიანს, როგორც კანონიერი უფლებების მქონე პირს, გააჩნია ყველგან აღიარების უფლება. სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის პირები უნდა იქნენ აღიარებულნი ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერი უფლებების მფლობელად. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, ყოველი ადამიანის მიერ დამოუკიდებლად განისაზღვრება, არის მისი პიროვნების ხელშეუვალი ელემენტები და მიეკუთვნება, თვითიდენტიფიკაციის ფუნდამენტალურ ასპექტებს, როგორებიც არის ღირსება და თავისუფლება. იძულებით არავის არ უნდა უტარდებოდეს სამედიცინო პროცედურები, მათ შორის ქირურგიული ჩარევის გზით სქესის შეცვლის, სტერილიზაციის ან ჰორმონალური თერაპია, როგორც გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარების აუცილებელი პირობა. არავითარი მდგომარეობა, კერძოდ, ცოლ-ქმრული ან მშობლის ურთიერთობა, თავისთავად არ უნდა უშლიდეს ხელს, ამა თუ იმ პიროვნების გენდერული კუთვნილების სამართლებრივ აღიარებას. არავინ არ არ უნდა იყოს იძულებული დამალოს, ჩაახშოს ან უარყოს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული კუთვნილება.

სახელმწიფოები:

- ა. უზრუნველყოფენ ყოველი პიროვნების სამოქალაქო უფლებათუნარიანობის აღიარებას მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. ასევე უზრუნველყოფენ ამ უფლებათუნარიანობის რეალიზაციის საშუალებას, მათ შორის უფლე-

ბათა იმ ნაწილში, რომელშიც საუბარია ხელშეკრულების დადებაზე და ქონების განკარგვაზე, ფლობაზე, მართვაზე, სარგებლობაზე, მის შექმნაზე (მათ შორის მემკვიდრეობით) და გასხვისებაზე.

- ბ. ლებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ხასიათის ზომებს ყოველი პიროვნების გენდერული იდენტობის სრული პატივისცემისა და სამართლებრივი აღიარების უზრუნველსაყოფად, რომელიც განისაზღვრება მის მიერ.
- გ. ლებულობენ ყველა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ხასიათის ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას აუცილებელი პროცედურები, რომელთა მიხედვით ყველა სახელმწიფო დოკუმენტებში, რომელიც ადასტურებს პიროვნებას და სადაც მითითებულია პიროვნების სქესი (მათ შორის დაბადების მონუმბაში, პასპორტში, საარჩევნო და სხვა დოკუმენტებში) მითითებული იქნას პიროვნების გენდერული იდენტობა, რომელსაც იგი თავად განსაზღვრავს.
- დ. უზრუნველყოფენ მსგავსი პროცედურების ეფექტურობას, სამართლიანობას და არადისკრიმინაციულობას შესაბამისი პიროვნების პირადი ცხოვრების და მისი ღირსების პატივისცემით.
- ე. უზრუნველყოფენ პირადობის მონუმბაში ცვლილებების შეტანის აღიარებას, როდესაც კანონით ან პოლიტიკით გათვალისწინებულია პირთა იდენტიფიკაცია ან კლასიფიკაცია სქესობრივი კუთვნილების მიხედვით.
- ვ. ახორციელებენ იმ პირთა სოციალური მხარდაჭერის მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც გადიან სქესის ტრანსფორმაციის ან კორექციის პროცესს.

სიცოცხლის უფლება

პრინციპი

4

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება. არავითარი მიზეზით, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, თვითნებურად სიცოცხლე არ შეიძლება იყოს ხელყოფილი. სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა არ უნდა ხდებოდეს ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობების შემთხვევაში, როდესაც მათ მიაღწიეს იმ ასაკს, რომლიდანაც დაშვებულია სექსუალური ურთიერთობები ურთიერთთანხმობის საფუძველზე, ასევე სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე.

სახელმწიფო:

- ა. აუქმებენ ყველა სისხლის სამართლებრივ ნორმებს, რომელთა მიზანი ან შედეგი გახლავთ ერთი სექსის წარმომადგენელთა შორის ამ ურთიერთობების აკრძალვა, რომლებმაც მიაღწიეს იმ ასაკს, რომლიდანაც დაშვებულია სექსუალური ურთიერთობები. ხოლო გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შემოაქვთ სიკვდილით დასჯის განაჩენზე უპირობო მორატორიუმი ყველა იმ პირთა მიმართ, რომლებიც გასამართლებულნი არიან ამ ნორმების მიხედვით;
- ბ. აუქმებენ სასიკვდილო განაჩენს და ათავისუფლებენ ყველა იმ პირს, რომლებიც დღეის მდგომარეობით იმყოფება სასჯელის მოლოდინში იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც დაკავშირებულია ნებაყოფლობით სექსუალურ ურთიერთობებთან პიროვნებებს შორის, რომლებმაც მიაღწიეს ასაკს, რომლიდანაც დასაშვებია სექსუალური ურთიერთობები ურთიერთთანხმობის საფუძველზე;
- გ. წვევებენ სახელმწიფოს მხრიდან ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფას ან მის ნახალისებას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნის მიხედვით. უზრუნველყოფენ იმას, რომ ყოველი ამგვარი შემთხვევის დროს როგორც სახელმწიფო მოხელეთა, ასევე ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მხრიდან ჩატარებული იქნას ადექვატური გამოძიება და სათანადო მტკიცებულებათა არსებობის შემთხვევაში დამნაშავეების მიმართ აღძრული იქნას სისხლის სამართლის საქმე, გაიმართოს სასამართლო და დამსახურებულად დაისაჯონ.

პრინციპი

5

პირადი შეუსებლობის უფლება

ყოველ ადამიანს, მისი სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის მიუხედავად გააჩნია პირადი შეუსებლობის და სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის, სხეულის დაზიანებისგან დაცვის უფლება, რომელიც მიეყენება სახელმწიფო მოხელეთა, ასევე ნებისმიერ პირთა ან პირთა ჯგუფის მხრიდან.

სახელმწიფოები:

- ა. ლებულობენ ყოველგვარ ზომებს მართლწესრიგის დაცვის სფეროში, ასევე ნებისმიერ სხვა ზომებს, რომლებიც მიმართულია პიროვნების დაცვის უზრუნველყოფისაკენ ნებისმიერი ძალადობისგან ან შევიწროებისგან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე;

- ბ. ლებულობენ ყველა სათანადო ზომებს კანონმდებლობის სფეროში შესაბამისი სისხლის სამართლის სასჯელის შემოღების მიზნით ძალადობაზე, ძალადობის მუქარაზე, ნაქეზებაზე ძალადობისკენ და თანმხლები შევიწროებისთვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივაციით ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მათ შორის ოჯახურ ურთიერთობებში;
- გ. ლებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს, რათა არ დაუშვან დაზარალებული მხარის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ფაქტის გამოყენება ძალადობის დასასაბუთებლად, გასამართლებლად ან ამგვარი ძალადობის სერიოზულობის შესამცირებლად;
- დ. უზრუნველყოფენ ამგვარი ძალადობის ფაქტების აქტიურ გამოძიებას, საკმარისი მტკიცებულების შემთხვევაში დამნაშავეები უნდა დაექვემდებარონ სისხლის სამართლებრივ დევნას, სასამართლოს და დამსახურებულ სასჯელს, ხოლო დაზარალებულები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სამართლებრივი დაცვის ადექვატური საშუალებებით და კომპენსაციით.
- ე. ატარებენ საგანმანათლებლო კამპანიებს, რომლებიც განკუთვნილია როგორც მთლიანად საზოგადოებისთვის, ასევე ძალადობის რეალური ან პოტენციური სუბიექტებისთვის, რათა დაძლეულ იქნას წარსულის გადმონაშთები, რომლებიც საფუძვლად უდევს ძალადობას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით.

კერძო ცხოვრების ხელშეშვალობის უფლება

პრინციპი

6

ყოველ ადამიანს, მისი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიუხედავად, გააჩნია კერძო ცხოვრების ხელშეშვალობის უფლება და არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა მის პირად ცხოვრებაში, თვითნებური ან უკანონო ხელყოფა საცხოვრებელი ადგილის ხელშეშვალობის და კორესპონდენციის საიდუმლოების. აგრეთვე აქვს უფლება დაიცვას თავისი რეპუტაცია და ღირსება უკანონო შელახვისგან. პირადი ცხოვრების ხელშეშვალობის უფლება მოიცავს აგრეთვე არჩევანის უფლებას იმ საკითხში, რომელიც ეხება საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გაცხადების ან გაუცხადებლობის უფლებას. ასევე გადანყვებილებების მიღების უფლებას და არჩევანის გაკეთებას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება საკუთარ სხეულს და ნებაყოფლობით სქესობრივ და სხვა სახის ურთიერთობებს სხვა პირებთან.

სახელმწიფოები:

- ა. ლებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოფილი ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება, მიუხედავად მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ინტიმური გადანაცვლებების და მათ შორის ნებაყოფლობითი სექსუალური ურთიერთობებს იმ პირებს შორის, რომლებმაც მიაღწიეს ასაკს, რომლიდანაც ნებადართულია სექსუალური კავშირები ურთიერთთანხმობის საფუძველზე, თვითნებური ჩარევის გარეშე.
- ბ. აუქმებენ ყველა კანონებს, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ნებაყოფლობით სექსუალურ ურთიერთობებზე ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც მიაღწიეს იმ ასაკს, რომლიდანაც ნებადართულია სქესობრივ კავშირში შესვლა ურთიერთთანხმობის საფუძველზე, და ასევე უზრუნველყოფენ სექსუალური ურთიერთობებისთვის ამ ასაკის თანასწორობას, როგორც განსხვავებულ, ასევე ერთი სქესის პირთა შორის;
- გ. გამორიცხავენ სისხლის სამართლისა და სხვა ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ნორმების გამოყენებას, ფაქტობრივ სამართლებრივ დევნას ნებაყოფლობითი სქესობრივი ურთიერთობებისთვის ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც მიაღწიეს იმ ასაკს, რომლიდანაც ნებადართულია სქესობრივი კავშირი ურთიერთთანხმობის საფუძველზე;
- დ. აუქმებენ ყველა საკანონმდებლო ნორმას, რომლებიც კრძალავენ გენდერული იდენტობის გამოხატვას, მათ შორის სამოსით, მეტყველებით ან ქცევის მანერით ან აწესებენ ამისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ან ართმევენ ადამიანს შესაძლებლობას შეცვალოს თავისი სხეული საკუთარი გენდერული იდენტობის გამოხატვის მიზნით;
- ე. ათავისუფლებენ წინასწარ პატიმრობაში ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასამართლოს გადანაცვლებით მყოფ ყველა პირს თუ თავისუფლების ასეთი აღკვეთა უკავშირდება ნებაყოფლობით სექსუალურ ურთიერთობებს იმ პირთა შორის, რომლებმაც მიაღწიეს ასაკს, რომლიდანაც ნებადართულია სქესობრივი კავშირის დამყარება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- ვ. უზრუნველყოფენ ყოველი ადამიანის უფლებას ბუნებრივ გარემოებებში, თავად გადანყვიტოს როდის, ვის და როგორ მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ. ასევე უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის არასანქცირებული ან თვითნებური გასაჯაროების ან გასაჯაროების მუქარისგან დაცვას.

თავისუფლების თვითნებურად ხელყოფისგან დაცვის უფლება

არავინ არ შეიძლება იქნას თვითნებურად დაკავებული და დაპატიმრებული. დაკავება ან დაპატიმრება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ მის გარეშე, წარმოადგენს თვითნებობას. ყოველ დაპატიმრებულ პირს, მისი სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის მიუხედავად, საერთო წესის საფუძველზე განემარტება მისი დაპატიმრების მიზეზები და მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები. ყოველი დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება უფლებამოსილ პირს, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას და აქვს დაკავების კანონიერების სასამართლო წესით განხილვის უფლება დანაშაულის ჩადენის ბრალდების არსებობის თუ არარსებობის მიუხედავად.

სახელმწიფოები:

- ა. ღებულობენ ყველა სავალდებულო ადმინისტრაციულ, საკანონმდებლო და სხვა სახის ზომებს, რათა არავითარ პირობებში არ გახდეს სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა დაკავების ან დაპატიმრების საფუძველი, მათ შორის სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან იმ არაზუსტი ფორმულირებების ამოღებას, რომლებიც ქმნიან მათი დისკრიმინაციული გამოყენების საშუალებას ან დაპატიმრების სხვა შესაძლებლობებს, მიკერძოებული მოტივების საფუძველზე.
- ბ. ღებულობენ ყველა სავალდებულო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ზომებს, რათა ყველა დაპატიმრებულს მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად თანაბარი პირობებით მიენდობოდეთ ინფორმაცია მათი დაპატიმრების მიზეზების შესახებ, ასევე ყველა მათ წინააღმდეგ არსებული ბრალდებების შესახებ. მათ ასევე მინიჭებული უნდა ჰქონდეთ უფლება დაუყოვნებლივ იმ უფლებამოსილი პირის წინაშე წარსადგენად, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას, ასევე მათ უნდა ენიჭებოდეთ მათი დაკავების კანონიერების სასამართლო განხილვის უფლება დანაშაულის ჩადენის ბრალდების არსებობის ან არარსებობის მიუხედავად.
- გ. ახორციელებენ სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა მიზანია პოლიციისთვის და სამართალდამცავი თანამდებობის პირებისთვის იმის განმარტება, რომ პიროვნების დაკავება ან დაპატიმრება მისი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე უკანონოა.

გ. დროულად ახორციელებენ ყველა დაკავებისა და დაპატიმრების აღრიცხვის წარმოებას, თარიღის, ადგილის და საფუძველთა მითითებით, ასევე უზრუნველყოფენ საპატიმროებზე დამოუკიდებელ დაკვირვებას იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილი და სათანადოდ აღჭურვილი არიან გამოავლინონ დაკავებისა და დაპატიმრების შემთხვევები, რომლებიც შესაძლოა მოტივირებული იყოს სექსუალური ორიენტაციით ან გენდერული იდენტობით.

პრინციპი

8

სამართლიანი სასამართლოს უფლება

ყოველ ადამიანს, მის წინაშე წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების შემთხვევაში ან მისი უფლებებისა და ვალდებულებების გარკვევისას, აქვს უფლება სამოქალაქო პროცესში საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვისა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე და არ ითვალისწინებს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მოტივით.

სახელმწიფოები:

- ა. ლებულობენ ყველა სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისადმი წინასწარ მიკერძოებული დამოკიდებულების აკრძალვისა და აღმოფხვრის მიზნით სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ნებისმიერი სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული საქმის წარმოებაში, რომელიც დაკავშირებულია უფლებათა და ვალდებულებათა დადგენასთან. ზომების მიღება ხდება ასევე იმ მიზნით, რომ ვინმეს როლი ან მისი ავტორიტეტი, როგორც პროცესის მონაწილე მხარის, მოწმის, ადვოკატის ან იმ პირის, რომელიც ლებულობს გადაწყვეტილებას, არ დადგეს ეჭვის ქვეშ მისი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.
- ბ. ლებულობენ ყველა აუცილებელ და გონივრულ ზომებს პირთა სისხლის სამართლის დევნისგან და სამოქალაქო სარჩელისგან დასაცავად, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მოტივირებულია ცრუ რწმენებით სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით;
- გ. ახორციელებენ სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს მოსამართლეთათვის, სასამართლოს პერსონალის, პროკურორების, ადვოკატებისთვის და სხვა პირებისათვის, რათა განემარტონ ამ პროგრამების მიზანია საერთაშორისო სტანდარტები ადამიანის უფლებათა სფეროში, თანასწორობისა და არადისკრიმინაციის პრინციპების, მათ შორის სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით.

ჰუმანური მოპყრობის უფლება პატიმრობაში ყოფნის დროს

ყველა თავისუფლებადკვეთილ პიროვნებას გააჩნია ჰუმანური მოპყრობისა და ღირსების პატივისცემის უფლება. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ადამიანის ღირსების განუყოფელი ნაწილებია.

სახელმწიფოები:

- ა. უზრუნველყოფენ, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ იწვევდეს მის შემდგომ მარგინალიზაციას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით და არ იყოს დაკავშირებული ძალადობის რისკთან, შეუფერებელ მოპყრობასთან, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ზეწოლასთან;
- ბ. უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარების და კონსულტაციების ხელმისაწვდომობას იმ მოცულობით, რომელიც პასუხობს დაკავებულთა მოთხოვნებს, ყველა იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც დამახასიათებელია მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისთვის, მათ შორის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აივ/ინფიცირებასა და შესაბამის მკურნალობაზე, ასევე ხელმისაწვდომობაზე, სადაც ეს აუცილებელია, ჰორმონალურ და სხვაგვარ თერაპიასა და მკურნალობაზე, რომელიც სქესის შეცვლასთან არის დაკავშირებული;
- გ. უზრუნველყოფენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პატიმართა მონაწილეობას გადანყვეტილების მიღებაში იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ სად უნდა იხდიდნენ ბრალდებულები სასჯელს მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გათვალისწინებით;
- დ. უზრუნველყოფენ დაცვის ზომების მიღებას ყველა იმ პატიმართა მიმართ, რომლებიც შესაძლოა აღმოჩნდნენ ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივაციით, ან გენდერულ გამოვლინებათა გამო. გონივრულ ფარგლებში უზრუნველყოფენ იმას, რომ ამგვარი დაცვითი ზომები არ იწვევდნენ პატიმრების ინტერესების შეზღუდვას უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე ამას აქვს ადგილი თავისუფლებადკვეთილი ადამიანების მიმართ;
- ე. დაშვებულ შემთხვევაში უზრუნველყოფენ ყველა დაკავებულისთვის და დაპატიმრებულისთვის უზრუნველყოფენ თანაბარ პირობებზე ცოლ-ქმრულ პაემნებს მეუღლის გენდერული კუთვნილების მიუხედავად;

- ვ. უზრუნველყოფენ მსჯავრდებულთა ადგილსამყოფელის დამოუკიდებელ მონიტორინგს, როგორც სახელმწიფო მოხელეების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან, მათ შორის მათთვის, ვინც მუშაობს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე;
- ზ. ახორციელებენ სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს საპატიმროების პერსონალისთვის და სხვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პროფილური თანამდებობის პირთათვის, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების, თანასწორობის პრინციპების, არადისკრიმინაციის საერთაშორისო სტანდარტების განმარტებაზე, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის კუთხით.

პრინციპი

10

უფლება არ გახდეს წამების, სისასტიკის, არაადამიანური ან ადამიანის ღირსებისთვის დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი

არავინ უნდა ხდებოდეს წამების, სასტიკი, არაადამიანური, ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მოტივით.

სახელმწიფოები:

- ა. ლებულობენ ყველა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ზომებს, რათა არ დაუშვან წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე. უზრუნველყოფენ დაზარალებულთა დაცვას ამგვარი მოპყრობისა და დასჯისაგან, ასევე ლებულობენ ზომებს მსგავსი აქტების ნაქეზების წინააღმდეგ;
- ბ. იღებენ ყველა სახის გონივრულ ზომას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით განხორციელებული წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი დამოკიდებულების ან დასჯის მსხვერპლთა გამოსავლენად და ადექვატური სამართლებრივი დაცვის განსახორციელებლად, რაც გულისხმობს ზარალის ანაზღაურებას, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების განევას;
- გ. ახორციელებენ სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირებისთვის, სასჯელალსრულების დაწესებულებებში პერსონალისთვის და სახელმწიფო ან კერძო სექტორის სხვა თანამდებობის პირებისთვის, რომლებსაც აქვთ მსგავსი დარღვევების ჩადენის ან მათი თავიდან აცილების შესაძლებლობა.

ადამიანებით ვაჭრობისგან და ნებისმიერი სხვა სახით ექსპლუატაციისგან დასაცვის უფლება

ყველა ადამიანს აქვს უფლება იყოს დაცული ადამიანებით ვაჭრობისა და ნებისმიერი სხვა სახით ექსპლუატაციისგან, მათ შორის, სექსუალური ექსპლუატაციისგან, არსებული ან სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით. ადამიანებით ვაჭრობის აღმკვეთი ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდნენ იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოწყვლადობის გაზრდას, მათ შორის, სხვადასხვა ფორმის უთანასწორობას და დისკრიმინაციას, რომელიც ხორციელდება არსებული ან სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან სხვა ხსენებული იდენტობების გამოვლენის ნიშნით. მსგავსი ღონისძიებები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს იმ პირთა უფლებებთან, რომლებიც არიან ვაჭრობის ობიექტად გადაქცევის რისკის ქვეშ.

სახელმწიფოები:

- ა. იყენებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ღონისძიებებს ადამიანებით ვაჭრობისა და ნებისმიერი სხვა სახით მათი ექსპლუატაციის, მათ შორის არსებული ან მოჩვენებითი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით სექსუალური ექსპლუატაციის აღსაკვეთად, ასევე მსგავსი დარღვევებისგან დასაცავად;
- ბ. ზრუნავენ, რომ ასეთ ღონისძიებებს არ მოჰყვეს მოწყვლადი პირების ქცევის კრიმინალიზაცია, სტიგმატიზაცია და რაიმე სხვა სახით მათი მდგომარეობის გართულება;
- გ. ახორციელებენ სამართლებრივ, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ღონისძიებებსა და პროგრამებს, მიმართულს არსებული ან მოჩვენებითი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით ადამიანებით ვაჭრობისა და ნებისმიერი სახით მათი ექსპლუატაციის, მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციისადმი მოწყვლადობის ზრდის ფაქტორების აღმოსაფხვრელად, იმ ფაქტორების ჩათვლით, როგორებიცაა - სოციალური გაუცხოება, დისკრიმინაცია, გარიყვა ოჯახებიდან ან კულტურული ჯგუფებიდან, ფინანსური დამოკიდებულება, საცხოვრებლის უქონლობა, დისკრიმინაციული დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან, რაც იწვევს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის დაკარგვას, საცხოვრებლის, დასაქმების ან სოციალური მომსახურების მიღების უპერსპექტივობისა და დისკრიმინაციისგან თავდაცვის შეუძლებლობას.

შრომის უფლება

ყველა ადამიანს აქვს ღირსეული და პროდუქტიული შრომის, მისი სამართლიანი და ნორმალური პირობების, უმუშევრობისგან დაცვის უფლება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომას, რათა აღმოფხვრან და აკრძალონ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნის მიხედვით სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულთა მიმართ, პროფესიული მომზადების, მომსახურეთა დაქირავების, თანამდებობრივი ზრდის, განთავისუფლების, შრომითი ხელშეკრულების პირობების და შრომის ანაზღაურების ჩათვლით;
- ბ. აღმოფხვრიან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, რომელიც ხორციელდება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნის მიხედვით, უზრუნველყოფენ თანაბარ პირობებს სახელმწიფო ხელისუფლების, მართვის და მართლწესრიგის დაცვის ყველა ორგანოში, ასევე შეიარაღებულ ძალებსა და სახელმწიფო სამსახურში მოწყობის და დანინაურების დროს. ახორციელებენ შესაბამის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს, მიმართულს დისკრიმინაციული ურთიერთობის აღმოსაფხვრელად.

სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სხვა ფორმების უფლება

ყველა ადამიანს აქვს სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სხვა ფორმების მიღების უფლება, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

სახელმწიფოები:

- ა. ახორციელებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს რათა უზრუნველყონ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი პირობები სოციალური უზრუნველყოფის უფლება და სოციალური დაცვის სხვა ფორმების განხორციელების დროს, რაც გულისხმობს მოსამსახურეთათვის შეღავათებს, შვებულებას ბავშვის მოსაველეად, უმუშევრობისთვის შეღავათებს, სამედიცინო დაზღვევას, სამედიცინო დახმარებას ან სამედიცინო მომსახურების (მათ შორის, გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ფიზიკური მოდიფიკაციის შემთხვევაში) განხორციელებისას შეღავათებით სარგებლობას, ასევე სხვა სახის სოციალურ

დაზღვევას, საოჯახო შეღავათებს, შემწეობებს დაკრძალვების ორგანიზების დროს, საპენსიო გადახდებს და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში მეუღლისთვის ან პარტნიორისთვის შეღავათების განხორციელებას;

- ბ. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში ან სოციალური და საქველმოქმედო დახმარების განხორციელებისას გამორიცხავენ ბავშვების მიმართ რაიმე სახის დისკრიმინაციას მათ ან მათი ოჯახის ნებისმიერი წევრის სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან კავშირში;
- გ. ატარებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის აუცილებელ ღონისძიებებს სიღარიბესთან ბრძოლის სტრატეგიისა და პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;

ცხოვრების საკმარისი დონის უფლება

პრინციპი

14

ყველა ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების საკმარისი დონე, რაც გულისხმობს ნორმალურ კვებას, სუფთა სასმელ წყალს, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს და ტანსაცმელს, ასევე ცხოვრების პირობების შეუფერხებელი გაუმჯობესების საშუალებას, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

სახელმწიფოები:

- ა. ახორციელებენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის გარეშე ნორმალურ კვებაზე, სუფთა სასმელ წყალზე, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე და ტანსაცმელზე თანაბარი უფლების უზრუნველსაყოფად.

საკმარისი საცხოვრებლის უფლება

პრინციპი

15

ყველა ადამიანს აქვს საკმარისი საცხოვრებლის უფლება, რომელიც მოიცავს, გამოსახლებისგან დაცვის უფლებას, მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად.

სახელმწიფოები:

- ა. ახორციელებენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს იჯარის დაცულობის, ხელმისაწვდომი ფასის, საცხოვრებლად ვარგისიანობის, ხელსაყრელი მდებარეობის უზრუნველსაყოფად. ასევე საცხოვრებლის შესაბამისობა კულტურულ-

ლი თავისებურებებისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით. იგივე ეხება თავშესაფრებს და საგანგებო შემთხვევებში დროებითი განთავსების ადგილებს. ყოველივე ამ პირობებით სარგებლობა უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ქორწინების ან ოჯახური მდგომარეობის გამო.

- ბ. ახორციელებენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ღონისძიებებს გამოსახლების შესახებ იმ გადაწყვეტილებების აღსრულების აკრძალვის მიზნით, რომლებიც არ შეესაბამება სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ასევე სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დაცვის ეფექტური საშუალებების უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც ამტკიცებს, რომ დარღვეულია მისი უფლება იძულებით გასახლებისგან დაცვის შესახებ ან არსებობს ასეთი დარღვევის საფრთხე, გადასახლების უფლების ჩათვლით, რაც თავის მხრივ გულისხმობს უფლებას უკეთესი ან იგივე ხარისხის ალტერნატიული მიწით და საკმარისი საცხოვრებელი დაკმაყოფილებას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ქორწინების ან ოჯახური მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- გ. უზრუნველყოფენ საკუთრების უფლების თანასწორობას მიწაზე და საცხოვრებელზე, ასევე მათ მემკვიდრეობით გადაცემაზე სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასევე ქორწინების ან ოჯახური მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- დ. შეიმუშავენ სოციალურ პროგრამებს, მათ შორის მხარდაჭერის პროგრამებს, მიმართულს სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული იმ ფაქტების აღმოსაფხვრელად, რომლებიც განსაკუთრებულად ამძიმებენ ბავშვების და ახალგაზრდების მონყვლადობას საცხოვრებლის შესაძლო დაკარგვასთან დაკავშირებით, იმ ფაქტორების ჩათვლით, როგორცაა საზოგადოების მხრიდან უარყოფა, ოჯახური და სხვა სახის ძალადობა, დისკრიმინაცია, ფინანსური დამოკიდებულება, ოჯახის ან კულტურული ჯგუფის მიერ უარყოფა. ასევე პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივ დონეზე მხარდაჭერისა და სოციალური პროგრამების დაცვის სქემების ხელშეწყობისაკენ;
- ე. ორგანიზებას უკეთებენ იმ სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა საშუალებით ყველა პროფილური ორგანიზაცია გაითვალისწინებს იმ პირთა გასაჭირს, რომლებმაც სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო შესაძლოა დაკარგონ საცხოვრებელი ან განიცადონ ნეგატიური სოციალური ზეგავლენა და ჩამოუყალიბონ ამ ინსტიტუტებს მგრძობიარობა რათა, ყურადღებით მოეკიდება მათ პრობლემებს.

ბანათლების მიღების უფლება

ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე და ამ გარემოების გათვალისწინებით;

სახელმწიფოები:

- ა. მიმართავენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყონ განათლების მიღების თანაბარი პირობები და თანაბარი დამოკიდებულება მოსწავლეების, ადმინისტრაციის მუშაკებისა და პედაგოგების მიმართ საგანმანათლებლო სისტემაში, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- ბ. უზრუნველყოფენ, რომ განათლების პროცესი მიმართული იყოს პიროვნების, მისი ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისკენ, ასევე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე მოსწავლის მოთხოვნილებები;
- გ. უზრუნველყოფენ, რომ განათლების პროცესი მიმართული იყოს ადამიანის უფლებების, ბავშვის მშობლებისა და მისი ოჯახის წევრების, მისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებისკენ, გაგების, მოთმინების, თანასწორობის, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიმართ პატივისცემის გათვალისწინებით;
- დ. უზრუნველყოფენ განათლების მეთოდის, სასწავლო პროგრამებისა და რესურსების მიმართულებას გაგებისა და პატივისცემის გამყარებისკენ განსხვავებული ორიენტაციის და გენდერული იდენტობის მიმართ, მოსწავლეთა, მათი მშობლების და ოჯახის წევრების ამ ასპექტთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნილებების ჩათვლით;
- ე. კანონებისა და პოლიტიკური მითითებების საშუალებით უზრუნველყოფენ სასწავლო დაწესებულებაში სოციალური გაუცხოებისა და ძალადობის ყოველგვარი გამოვლენისგან საკმარის დაცვას, მათ შორის ქედმაღლური დამოკიდებულებისა და შევიწროებისგან განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე მოსწავლეების, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პედაგოგების მიმართ;
- ვ. უზრუნველყოფენ, რომ იმ მოსწავლეთა დაცვა, რომლებიც გარიყულნი არიან საზოგადოებისაგან ან ძალადობის მსხვერპლნი არიან, არ გადაიზარდოს მათ მარგინალიზაციასა და სეგრეგაციაში და რომ მათი ინტერესები მაქსიმალურად სრულად იყოს გამოვლენილი და პატივცემული მათივე უშუალო მონაწილეობით;

- ზ. იღებენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ზომებს, რათა სასწავლო დაწესებულებებში დისციპლინა დაცული იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემის ამსახველი მეთოდების საშუალებით, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან მათი გამოვლენის გამო მოსწავლეთა დისკრიმინაციის ან დასჯის გარეშე;
- თ. თითოეულ ადამიანს უქმნიან პირობებს, რათა მათ მთელი ცხოვრების მანძილზე ისარგებლონ სწავლისთვის აუცილებელი რესურსებითა და შესაძლებლობებით სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, იმ ზრდასრულ პირთა ჩათვლით, რომლებიც განათლების სისტემაში უკვე შეხვედრიან მსგავსი სახის დისკრიმინაციას.

პრინციპი
17

ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონის მიღწევის უფლება

ყველა ადამიანს აქვს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონის მიღწევის უფლება მისი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. ამ უფლების ფუნდამენტური ასპექტია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

სახელმწიფოები:

- ა. მიმართავენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონის მიღწევის უფლება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- ბ. მიმართავენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომებს, რათა ჯანდაცვის დაწესებულებებში ყველა პირს ჰქონდეს შესაბამისი პროდუქტისა და მომსახურების, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ასევე მათი პირადი სამედიცინო დოკუმენტაციის მიღების საშუალება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- გ. უზრუნველყოფენ ჯანდაცვის დაწესებულებების მიმართულებას ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე და ამ გარემოებების გათვალისწინებით. სახელმწიფოები ასევე უზრუნველყოფენ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობას;

- დ. შეიმუშავენ და განახორციელებენ პროგრამებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის, წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულების და აღნიშნულიდან გამომდინარე ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედი სხვა სოციალური ფაქტორების დასაძლევად;
- ე. ყველა პირს აწვდიან მკურნალობისა და მოვლის შესახებ საკმარისი დონის ინფორმაციას და სრული ინფორმირებულობის საფუძველზე ანიჭებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- ვ. უზრუნველყოფენ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგში განათლების, პროფილაქტიკის, მოვლისა და მკურნალობის შესახებ შემუშავებულ პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მრავალფეროვნების გათვალისწინებას და ასეთი პროგრამების ხელმისაწვდომობას ყველა პირისთვის დისკრიმინაციის გარეშე;
- ზ. სქესის შეცვლის შემთხვევაში ხელს უწყობენ სხეულის ფიზიკური კორექციით დაინტერესებულ პირებს, რათა მათ არადისკრიმინაციულ საფუძველზე მიიღონ კომპეტენტური მკურნალობა, მოვლა და მხარდაჭერა;
- თ. უზრუნველყოფენ ჯანდაცვის ყველა მუშაკთა ნორმალურ დამოკიდებულებას პაციენტების და მათი პარტნიორების მიმართ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის სიახლოვის ხარისხის აღიარების ნაწილში;
- ი. შეიმუშავენ სასწავლო-მეთოდოლოგიური ხასიათის პოლიტიკურ ნორმებსა და პროგრამებს, რათა ჯანდაცვის ყველა მუშაკს ჰქონდეს შესაძლებლობა ნებისმიერი პირი უზრუნველყოს ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი დონით, თითოეული ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სრული პატივისცემით.

დასვა სამედიცინო ხასიათის დარღვევებისგან

პრინციპი

18

იძულების წესით არავინ უნდა გაიაროს რაიმე სახის სამედიცინო მკურნალობა, პროცედურები, ტესტირება ან მოთავსებული იქნას სამედიცინო დაწესებულებაში სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე. ნებისმიერი კლასიფიკაციის მიუხედავად, საპირისპირო მოსაზრებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პირის არც სექსუალური ორიენტაცია და არც გენდერული იდენტობა თავისთავად არ წარმოადგენს სამედიცინო მაჩვენებელს და არ ექვემდებარება მკურნალობას, განკურნებას ან დათრგუნვას.

სახელმწიფოები:

- ა. ატარებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ღონისძიებებს სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული მავნე სამედიცინო ჩარევისაგან სრული დაცვის მიზნით, მათ შორის, ისეთ ჩარევისგან, რომელიც ეფუძნება ან უკავშირდება კულტურული ან სხვა ტიპის სტერეოტიპებს ქცევასთან, გარეგნობასთან ან გენდერულ ნორმებთან მიმართებაში;
- ბ. ატარებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ღონისძიებებს, რათა არ დაუშვან ისეთი სამედიცინო პროცედურების ჩატარება ბავშვებზე, რომლებიც ინვევენ შეუქცევად ფიზიკურ ცვლილებებს და მიმართულია გენდერული იდენტობის იძულებით ფორმირებაზე, ბავშვის სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე მისი ასაკისა და მონიფულობის გათვალისწინებით; გამომდინარე ამ პრინციპიდან, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ეხება ბავშვს, პირველ რიგში მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს მის ინტერესებს.
- გ. ქმნიან ბავშვთა დაცვის მექანიზმებს, რომელთა მიზანია მათი დაცვა მოსალოდნელი ან უშუალო სამედიცინო დარღვევების რისკებისაგან;
- დ. სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის მქონე პირების დაცვას არაეთიკური ან არანებაყოფლობითი პროცედურებისა და კვლევების ჩატარებისგან, მათ შორის, აივ/შიდსი-ს და სხვა დაავადებების დროს ვაქცინების, ბაქტერიციდების ან სხვა თერაპიული საშუალებების გამოყენებისაგან უზრუნველყონ;
- ე. განიხილავენ და შეაქვთ ცვლილებები ჯანდაცვის დაფინანსების ნებისმიერ მექანიზმებსა და პროგრამებში, რომლებიც შეიძლება პირდაპირ მიმართული იყოს, ხელს უწყობდეს ან შესაძლებელს ხდიდეს ასეთი სახის დარღვევას.
- ვ. ნებისმიერი სამედიცინო ან ფსიქიატრიული მკურნალობის ან კონსულტაციის დროს კრძალავენ იმას, რომ სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა პირდაპირ ან ირიბად ითვლებოდეს სამედიცინო მაჩვენებლებად და ექვემდებარებოდეს მკურნალობას, განკურნებას და დათრგუნვას.

რწმენის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება

ყველა ადამიანს აქვს რწმენის თავისუფლებისა და მისი თავისუფალი გამოხატვის უფლება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობისგან დამოუკიდებლად. აღნიშნული უფლება გულისხმობს პიროვნების თვითგამოხატვას მეტყველების, ქცევის, ჩაცმულობის, ფიზიკური თავისებების, სახელის არჩევის ან რაიმე სხვა საშუალებებით, ასევე ნებისმიერი სახის ინფორმაციისა თავისუფლად მოძიების, მიღების და გადაცემის უფლებას, მათ შორის, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებებს, სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას ნებისმიერი გზით და ქვეყნის საზღვრებისგან დამოუკიდებლად.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა აუცილებელი სახის ყველა გადანყვეტილებებს, რათა განხორციელდეს ადამიანის რწმენის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლების სრული დაცვა, სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, ამასთან, დაცული უნდა იყოს ისეთი ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გადაცემის უფლება, რომლებიც შეეხება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, ასევე მასთან დაკავშირებული იურიდიული უფლებების დამცავი გამოსვლები, მასალების პუბლიკაციები, მაუწყებლობა, კონფერენციების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, ინფორმაციის გავრცელება უსაფრთხო სექსობრივი ქცევის შესახებ და ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ბ. უზრუნველყოფენ მათ მიერ რეგულირებადი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების პლურალიზმსა და არადისკრიმინაციულ დამოკიდებულებას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე კრძალავენ მსგავს ორგანიზაციებში სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციას თანამშრომლების სამსახურში მიღებისა და თანამდებობრივი ზრდის დროს;
- გ. იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომებს, რათა დაცული იყოს პიროვნების თვითგამოხატვის უფლება, მათ შორის სიტყვის, ქცევის, ჩაცმულობის, ფიზიკური თავისებურებების, საცხოვრებლის შერჩევის ან ნებისმიერი სხვა საშუალებების გამოყენებით;
- დ. გამორიცხავენ სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის საბაზით რწმენის თავისუფლების და მისი გამოხატვის რაიმე სახით დისკრიმინაციას,

სექსუალური ორიენტაციის მრავალფეროვნებასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით;

- ვ. გამორიცხავენ, რომ რწმენის თავისუფლებამ და მისმა გამოხატვამ გამოიწვიოს სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მატარებელ პირთა უფლებების და თავისუფლებების დარღვევა;
- გ. ყველა ადამიანს უზრუნველყოფენ ინფორმაციის და იდეების თავისუფლად მიღების, ასევე საჯარო დებატებში მონაწილეობის უფლებით მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად.

პრინციპი

20

მშვიდობიანი შიკრიბებისა და ასოციაციების უფლება

ყველა ადამიანს, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად, გააჩნია უფლება მოაწყოს მშვიდობიანი შეკრებები და შექმნას ასოციაციები, მათ შორის მშვიდობიანი დემონსტრაციების მიზნით. ნებადართულია არადისკრიმინაციულ საფუძველზე ასოციაციების შექმნა და რეგისტრაცია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით მსგავსად იმ ასოციაციებისა, რომელთა საქმიანობა მიმართულია სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის პირებს შორის ინფორმაციის გავრცელებისკენ. ასევე, მათ შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობისკენ.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომებს, რათა დაცული იყოს მშვიდობიანი ხასიათის ასოციაციების, კრებების და გამოსვლების გამართვის უფლება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე, ასევე, დაცული იყოს ასეთი ჯგუფების უფლებები სამართლებრივი სტატუსის მიღებისას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისაგან;
- ბ. კრძალავენ სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის და მორალის დაცვის საბაზით განხორციელდეს მშვიდობიანი ხასიათის შეკრებების და ასოციაციების გამართვის უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ამგვარი უფლების რეალიზება ხდება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მრავალფეროვნების დამტკიცების მიზნით;
- გ. არცერთ შემთხვევაში ხელს არ უშლიან მშვიდობიანი შეკრებების და

ასოციაციების გამართვის უფლების რეალიზებას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით და უზრუნველყოფენ მშვიდობიანი შეკრებების და აქციების უფლების რეალიზებას, პროცესში მონაწილე პირებს იცავენ სამართალდამცავი ორგანოები, რათა არ მოხდეს მათზე ფიზიკური ძალადობა ან მათი შევიწროება.

- დ. სამართლებრივ საფუძველზე მართლწესრიგის დაცვის მიზნით თანამდებობის მქონე და სხვა პროფილის მქონე პირებისთვის შეიმუშავებენ სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება განახორციელონ ასეთი დაცვა;
- ე. დაუშვებლად მიიჩნევენ, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების წესმა პრაქტიკაში არ გამოიწვიოს, როგორც ნებაყოფლობითი ასოციაციების და ჯგუფების, რომლებიც დაკავებულნი არიან სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საკითხებით, ისე, მასში მონაწილე პირთა დისკრიმინაცია.

სინდისის, აზრის და რელიგიის თავისუფლების უფლება

პრინციპი
21

ყოველ ადამიანს, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიუხედავად, აქვს აზრის, სინდისის და რელიგიური მრწამსის თავისუფლების უფლება. სახელმწიფოებს ეკრძალებათ ამ უფლებებზე დაყრდნობით გაამართლონ ისეთი კანონები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები ან პრაქტიკა, რომლებიც კანონის სახელით ადამიანს უსპობენ თანაბარი დაცვის საშუალებას ან ხელს უწყობენ დისკრიმინაციას, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით;

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ გადაწყვეტილებებს, რათა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად, ყველა ადამიანს ჰქონდეს რელიგიური და არარელიგიური მრწამსის უფლება, როგორც პირადად, ასევე სხვებთან ერთად. ასევე უფლება დაცული იყოს რწმენის ხელყოფისგან, რწმენასთან დაკავშირებულ საკითხებში იძულების ან თავსმოხვევისგან;
- ბ. უზრუნველყოფენ, რომ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ განსხვავებული შეხედულებების და რწმენის გამოხატვა, პრაქტიკა და გავრცელება შეუსაბამობაში არ მოდიოდეს ადამიანის უფლებებთან.

თავისუფალი გადაადგილების უფლება

თითოეულ ადამიანს, რომელიც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება მიუხედავად მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა არ შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ ვინმეს შეეზღუდოს ან აეკრძალოს ქვეყანაში შესვლა, ქვეყნიდან გამოსვლა ან დაბრუნება, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ გადაწყვეტილებებს, რათა დაცული იყოს თავისუფალი გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, ადამიანის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნისგან დამოუკიდებლად.

თავშესაფრის მოთხოვნის უფლება

ყველას აქვს უფლება ეძებოს და იპოვოს თავშესაფარი სხვა ქვეყანაში, როდესაც მას სდევნიან, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით. არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა გამოასახლოს, ქვეყნიდან გააძევოს ან სხვა სახელმწიფოს გადასცეს ესა თუ ის პირი, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ მას მოელის წამება, დევნა ან სხვა სახის არაადამიანური ან ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ, გადახედავენ და ცვლილებები შეაქვთ კანონმდებლობაში, რათა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დევნის დასაბუთებული საფრთხეების არსებობის შემთხვევაში მოხდეს პირთა დევნილად ცნობა და თავშესაფრის მიცემა;
- ბ. პოლიტიკურად და პრაქტიკულად დაუშვებლად მიიჩნევენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეძებენ თავშესაფარს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო;
- გ. კრძალავენ ნებისმიერი პირის ქვეყნიდან გასახლებას ან სხვა ქვეყნისთვის გადაცემას, როდესაც არსებობს საფუძველიანი ეჭვი იმისა, რომ მათ იქ ემუქრებათ წამება, დევნა ან სხვა სახის არაადამიანური, ან ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით.

ყველას აქვს ოჯახის შექმნის უფლება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიუხედავად. ოჯახს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფორმა. არც ერთი ოჯახი არ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას მისი ნებისმიერი წევრის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.

სახელმწიფოები:

- ა. ატარებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა აუცილებელ ღონისძიებებს, რათა დაცული იყოს ოჯახის შექმნის უფლება, მათ შორის, შვილად აყვანის ან დამხმარე რეპროდუქციული (დონორის მხრიდან განაყოფიერების ჩათვლით) გზით, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
- ბ. კანონმდებლობის დონეზე და პრაქტიკულად უზრუნველყოფენ მრავალფეროვანი ფორმის ოჯახების არსებობას, მათ შორის იმ ოჯახებისა, რომლებიც არაა დაკავშირებული სისხლით ნათესაობასთან ან ქორწინებასთან და იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ ან სხვა სახის ყველა აუცილებელ ზომებს, რათა არ დაუშვან ოჯახის დისკრიმინაცია მისი ნებისმიერი წევრის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით, მაშინაც, როცა საქმე შეეხება სოციალურ შემწეობებს და სხვა სახის სახელმწიფო შეღავათებს, დასაქმებას ან იმიგრაციის საკითხებს;
- გ. იღებენ აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა გადანყვეტილებებს, რათა ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების ან გადანყვეტილებების მიღების დროს, იმის მიუხედავად, ასეთი გადანყვეტილებები მიიღება სოციალური დაცვის სახელმწიფო თუ კერძო სექტორის, სასამართლოს, ადმინისტრაციული ხელისუფლების თუ საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ყურადღება პირველ რიგში დაეთმოს ბავშვთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. ამასთან ბავშვის, მისი ნებისმიერი ოჯახის წევრის, ან სხვა პირის სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა არ უნდა ჩაითვალოს არათავსებადად ბავშვთა ინტერესებთან;
- დ. ბავშვის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების ან გადანყვეტილებების მიღებისას ბავშვს უფლებას აძლევენ ჩამოაყალიბოს, თავისუფლად გამოხატოს თავისი შეხედულებები ყველა საკითხზე და სათანადოდ ითვალისწინებენ მათ ბავშვის ასაკის და სიმწიფის შესაბამისად;

- ე. იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა ზომებს, რათა იმ სახელმწიფოებში, სადაც აღიარებულია ერთსქესიანი ქორწინება ან პარტნიორობა ასეთ მეუღლეებს ან პარტნიორებს ჰქონდეთ იგივე უფლებები, პრივილეგიები, ვალდებულებები და შეღავათები, რაც აქვთ განსხვავებული სქესის მეუღლეებს ან დარეგისტრირებულ პარტნიორებს;
- ვ. იღებენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა გადანაცვლებებს, რათა დაურეგისტრირებელ ერთსქესიან პარტნიორებს ჰქონდეთ იგივე უფლებები, პრივილეგიები, ვალდებულებები ან შეღავათები, რაც აქვთ განსხვავებული სქესის დაურეგისტრირებელ პარტნიორებს;
- ზ. უზრუნველყონ ქორწინებაში ან იურიდიულად აღიარებულ სხვა სახის პარტნიორობაში შესვლის შესაძლებლობას, მხოლოდ მხარეების სრული თანხმობისა და ნებაყოფლობის შემთხვევაში.

პრინციპი

25

სახელმწიფო საქმიანობის წარმოებაში მონაწილეობის უფლება

ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმიანობის წარმოების პროცესში, წამოაყენოს თავისი კანდიდატურა არჩევით თანამდებობებზე, მონაწილეობდეს პოლიტიკის ფორმირებაში, რაც განსაზღვრავს მის კეთილდღეობას, უფლებას თანაბრად მონაწილეობდეს სახელმწიფო სამსახურის ყველა დონეზე და საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებაში, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებში და შეიარაღებულ ძალებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ და ახორციელებენ ცვლილებებს კანონმდებლობაში, რათა ადამიანები მონაწილეობდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა დონის სახელმწიფო სამსახურის და საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულების ჩათვლით, მათ შორის, სამართალდამცავ და თავდაცვის ორგანოებში, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე და აღნიშნული გარემოებების სრული პატივისცემის პირობებში;
- ბ. იღებენ ყველა შესაძლო ზომებს, რათა აღმოფხვრან სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული სტერეოტიპული და წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებები, რომლებიც ხელს უშლიან ან ზღუდავენ სახელმწიფოს საქმიანობაში მათ მონაწილეობას;

გ. უზრუნველყოფენ თითოეული ადამიანის უფლებას მონაწილეობა მიიღოს მისი კეთილდღეობისთვის განმსაზღვრელი პოლიტიკის ფორმირებაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე და ამ გარემოებების სრული პატივისცემით.

კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

პრინციპი

26

ყველას აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის მიუხედავად, აგრეთვე ამ მონაწილეობის საშუალებით გამოხატოს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მრავალფეროვნება.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა გადამწყვეტილებებს, რათა ყველასთვის იყოს უზრუნველყოფილი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უფლება, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიუხედავად.
- ბ. ხელს უწყობენ განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებს შორის დიალოგს და ურთიერთპატივისცემის ჩამოყალიბებას იმ ჯგუფების ჩათვლით, რომლებსაც სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიმართ აქვთ განსხვავებული შეხედულება, ამასთან, დიალოგი უნდა მიმდინარეობდეს იმ უფლებებისა და თავისუფლებების თანმიმდევრული დაცვის პირობებში, რომლებიც გადმოცემულია ხსენებულ პრინციპებში.

ადამიანის უფლებების დაცვის უფლება

პრინციპი

27

ყველა ადამიანს აქვს უფლება ნაციონალურ ან საერთაშორისო დონეზე, ინდივიდუალურად ან სხვებთან კავშირში, განახორციელოს ან დაიცვას ადამიანის უფლებები სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. უფლებების დაცვა მოიცავს - სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირების უფლებების ნახალისებასა და დაცვას, ასევე, ახალი ნორმების შემუშავებას, განხილვასა და აღიარებას.

სახელმწიფოები:

- ა. იღებენ აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ყველა გადამწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ხელსაყრელი

პირობების შექმნა ადამიანის უფლებათა ნახალისების, დაცვისა და რეალიზაციისათვის, მათ შორის სექსუალურ ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- ბ. იღებენ ყველა საჭირო ზომებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველების, ასევე, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე უფლებადამცველების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებთან ან კამპანიებთან საბრძოლველად.
- გ. უფლებადამცველებს, მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიუხედავად და ადამიანის უფლებათა იმ საკითხების მიუხედავად, რომელზეც ისინი მუშაობენ, არადისკრიმინაციულ საფუძველზე აძლევენ ადამიანის უფლებადამცველ ნაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ორგანოებთან დაკავშირებისა და მათთან მუშაობის საშუალებას;
- დ. სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველებს იცავენ, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ძალადობის, მუქარის, შურისძიების, დეფაქტო/დეიურე დისკრიმინაციის, ზენოლის ან ნებისმიერი სხვა სახის მოქმედებისგან სახელმწიფო ან არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მხრიდან; ასეთივე დაცვა უნდა გაეწიოს ნებისმიერ სხვა საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველებსაც, როცა საუბარია მათ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობაზე;
- ე. მხარს უჭერენ ისეთი ორგანიზაციების აღიარებას და აკრედიტაციას, რომლებიც ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე მუშაობენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირების უფლებების ნახალისებასა და დაცვაზე.

პრინციპი
28

**ეფექტური სამართლებრივი დაცვისა და ზარალის
ანაზღაურების უფლება**

ნებისმიერი ადამიანი, ვისი უფლებაც რაიმე სახით დაირღვა, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო, უფლებამოსილია მიიღოს ეფექტური, ადექვატური და სათანადო სამართლებრივი დაცვა. ეფექტური სამართლებრივი დაცვის და ზარალის ანაზღაურების განუყოფელი ნაწილია ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება განსხვავებული სექსუ-

ალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირების ზარალის ანაზღაურების ან ნორმალური განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

სახელმწიფოები:

- ა. ქმნიან აუცილებელ სამართლებრივ მექანიზმებს, მათ შორის, კანონმდებლობისა და პოლიტიკის გადახედვის გზით, რათა იმ პირებმა, ვისი უფლებებიც დაირღვა სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მოტივით, მიიღონ ზარალის სრული ანაზღაურება რესტიტუციის, სატისფაქციის, განუმეორებლობის გარანტიის და/ან რაიმე სხვა მისაღები სახით;
- ბ. უზრუნველყოფენ სამართლებრივი დაცვის ღონისძიებების დროულ მიღებას და განხორციელებას;
- გ. უზრუნველყოფენ ეფექტური ინსტიტუტების და სტანდარტების შექმნას სამართლებრივი დაცვის და ზარალის ანაზღაურების სფეროში, ასევე, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხების ცოდნას ყველა თანამშრომლის მიერ;
- დ. ყველა პირს უზრუნველყოფენ აუცილებელი ინფორმაციით, რომელიც შეეხება სამართლებრივი დაცვის მოთხოვნასთან და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პროცედურებს;
- ე. ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფენ იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ საშუალება თვითონ გასწიონ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარჯები. სახელმწიფოები მათ ასევე ეხმარებიან ნებისმიერი სხვა სახის, მათ შორის ფინანსური წინააღმდეგობების დაძლევაში, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მსგავსი მოთხოვნების წაყენების დროს;
- ვ. ქმნიან სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის, სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, პროფესიული ორგანოებისა და ადამიანის უფლებების პოტენციური დამრღვევებისათვის, რათა ადამიანის უფლებების სფეროში უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო სტანდარტების პატივისცემა და დაცვა აქ მოცემული პრინციპების შესაბამისად, ასევე სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით გამოწვეული დისკრიმინაციული დამოკიდებულების გადასალახავად.

ყველა ადამიანს, ვისი უფლებებიც დაირღვა, მათ შორის აქ მოყვანილ პრინციპებში განხილული, აქვს იმის უფლება, რომ ამ დარღვევაზე პირდაპირ ან ირიბად პასუხისმგებელი, როგორც თანამდებობის პირები, ისე სხვები, მათი დარღვევების სერიოზულობის პროპორციულად, მისცეს პასუხისგებაში. სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევები არ უნდა დარჩეს დაუსჯელი.

სახელმწიფოები:

- ა. ქმნიან სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სხვა სათანადო, ხელმისაწვდომ და ეფექტურ პროცედურებსა და მონიტორინგის მექანიზმებს იმ პირების პასუხისგებაში მისაცემის მიზნით, რომლებმაც სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიზეზით დაარღვიეს ამა თუ იმ ადამიანის უფლება;
- ბ. უზრუნველყოფენ მსხვერპლის რეალური ან გარეშეთა მიერ აღქმული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის, მოცემულ პრინციპებში ნახსენები დანაშაულების შესახებ შემოსული ყველა განცხადების ოპერატიულ და გულმოდგინე გამოძიებას, ასევე, სათანადო მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივ დევნას იმ პირთა მიმართ, ვინც ჩაიდინა ასეთი დანაშაული, სასამართლოსთვის მათ გადაცემას და შესაბამისად დასჯას;
- გ. ქმნიან კანონმდებლობის და პოლიტიკის შემუშავებისა და გამოყენების მონიტორინგის დამოუკიდებელ და ეფექტურ ინსტიტუტებსა და პროცედურებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;
- დ. აღმოფხვრიან ყველა იმ ხელისშემშლელ გარემოებებს, რომლებიც ხელს უშლის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მოტივით ადამიანის უფლებების დამრღვევი პირების პასუხისგებაში მიცემას.

დამატებითი რეკომენდაციები

ადამიანის უფლებების რეალიზაციის სფეროში ვალდებულებები აკისრია საზოგადოებისა და საერთაშორისო გაერთიანების ყველა წევრს. შესაბამისად, ჩვენ რეკომენდაციას ვუწვევთ:

- ა. გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესმა კომისარმა მხარი დაუჭიროს მოცემულ პრინციპებს, ხელი შეუწყოს მათ რეალიზებას მთელ მსოფლიოში და მიიღოს ისინი ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს სამუშაო დოკუმენტად, მათ შორის, ადგილზე მუშაობის დროსაც;
- ბ. გაეროს ადამიანის უფლებების საბჭომ მხარი დაუჭიროს მოცემულ პრინციპებს და სერიოზული ყურადღება დაუთმოს ადამიანის უფლებების დარღვევებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით და ხელი შეუწყოს სახელმწიფოების მიერ მოცემული პრინციპების დაცვას;
- გ. გაეროს სპეციალიზებულ მექანიზმებში ადამიანის უფლებების სფეროში სათანადო ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებების დარღვევებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით და იხელმძღვანელონ მოცემული პრინციპებით თავისი მანდატების შესრულების დროს;
- დ. გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ აღიაროს და აკრედიტაცია გაუწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა მიმართულია სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირების წახალისებისა და დაცვისაკენ, როგორც ეს მითითებულია მის 1996/31 რეზოლუციაში;
- ე. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებმა აქტიურად იხელმძღვანელონ მოცემული პრინციპებით თავისი მანდატების შესრულებისას, მათ შორის, პრეცედენტული უფლების და სახელმწიფოთა მოხსენებების განხილვების დროს, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში გამოსცენ ზოგადი კომენტარები ან სხვა სახის განმარტებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმებით სარგებლობის შესახებ იმ შემთხვევებში, როცა საქმე შეეხება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირებს;
- ვ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და გაეროს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (UNAIDS) შეიმუშაონ სახელმძღვანელო დებულებები ჯანდაცვის სფეროში სათანადო მომსახურებისა და შესაბამისი

მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესახებ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირთათვის, მათი უფლებებისა და ღირსების პატივსაცემით;

- ზ. ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესმა კომისარმა გაითვალისწინოს მოცემული პრინციპები იმ პირთა დაცვის მიზნით, რომლებიც განიცდიან დევნას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით ან აქვთ ასეთი დევნის საფრთხის სერიოზული საფუძველი, ასევე უზრუნველყოს, რომ არავინ განიცდიდეს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით ჰუმანიტარული დახმარების მიღების, სხვა მომსახურებების ან ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ გადანყვევტილების მიღების დროს;
- თ. ადამიანის უფლებებზე მომუშავე რეგიონულმა და სუბრეგიონულმა მთავრობათშორისმა ორგანიზაციებმა, ასევე ადამიანის უფლებების შესახებ რეგიონული ხელშეკრულებების დაცვის მაკონტროლებელმა ორგანოებმა უზრუნველყონ მოცემული პრინციპების აუცილებელი გათვალისწინება სხვადასხვა სამართალდამცავი მექანიზმების, პროცედურების და სხვა ინსტიტუტებისა და ინიციატივების მიერ მათი მანდატების რეალიზაციისთვის;
- ი. ადამიანის უფლებების რეგიონულმა სასამართლოებმა აქტიურად გამოიყენონ ის მოცემული პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების შესახებ ხელშეკრულებებთან სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საკითხების შესახებ პრეცედენტული სამართლის ფორმირების დროს;
- კ. ნაციონალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე არასამთავრო ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ მოცემული პრინციპების დაცვას მათი მანდატების უფლებამოსილების ფარგლებში;
- ლ. ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა ნებისმიერი ჰუმანიტარული ოპერაციის და დახმარების აღმოჩენის დროს გაითვალისწინონ მოცემული პრინციპები სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირთა დისკრიმინაციის გარეშე;
- მ. ადამიანის უფლებების დამცველმა ნაციონალურმა ინსტიტუტებმა ხელი შეუწყონ სახელმწიფოებისა და არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მიერ მოცემული პრინციპების დაცვას და გაითვალისწინონ ისინი

განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირთა უფლებაცვადაცვითი საქმიანობის ნახალისების დროს;

- ნ. პროფესიულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის მედიცინის, სისხლის ან სამოქალაქო სამართალწარმოების და განათლების დარგში განიხილონ თავისი საქმიანობა და მმართველობითი დებულებები მოცემული პრინციპების რეალიზაციის აქტიური ხელშეწყობის მიზნით;
- ო. კომერციულმა ორგანიზაციებმა აღიარონ თავისი მნიშვნელოვანი როლი როგორც მოცემული პრინციპების შესრულების თვალსაზრისით საკუთარი თანამშრომლების მიმართ, ისე ამ პრინციპების გასავრცელებლად ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე და განახორციელონ სათანადო მოქმედებები;
- პ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა თავი აარიდონ იმ სტერეოტიპების გამოყენებას, რომლებიც შეეხება სექსუალური ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას პირებს და ხელი შეუწყონ ამ საკითხების შესახებ ცოდნის ამაღლებას;
- ჟ. სახელმწიფო და კერძო დონორებმა ფინანსური დახმარება გაუწიონ არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირების უფლებების ნახალისებისა და დაცვის მიზნით.

მოცემული პრინციპები და რეკომენდაციები ასახავენ ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო ნორმების გამოყენებას განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე პირთა ცხოვრებაში. ისინი არანაირად არ უნდა ზღუდავდნენ ასეთი პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც აღიარებულია საერთაშორისო სამართლის, რეგიონული ხელშეკრულების ან ნაციონალური კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო რეგიონული და ნაციონალური სტანდარტების მიხედვით.

საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა

ფილიპ ალსტონი (ავსტრალია) - გაეროს სპეციალური მომხსენებელი სასამართლოს გარეშე დასჯის პრობლემის საკითხებში, აშშ, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.

მაქსიმ ანმეგიჩიანი (მოლდავეთი) - გეებისა და ლესბოსელების საერთაშორისო ასოციაციის ევროპული განყოფილება.

მაურო კაბრალი (არგენტინა) - მკვლევარი, კორდობის ნაციონალური უნივერსიტეტი, გეებისა და ლესბოსელების უფლებების საერთაშორისო კომისია.

ედვინ ქამარონი (სამხრეთ აფრიკა) - უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ბლოემფონტენინი, სამხრეთ აფრიკა.

სონია ონუფერ კორრეა (ბრაზილია) - ბრაზილიის სადისციპლინო აიგ-ასოციაციის მეცნიერ-თანამშრომელი, სექსუალობის და სოციალური საკითხების საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე (საქსპერტო შეხვედრის თანათავმჯდომარე).

იაკინ ვრტიურკი (თურქეთი) - ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხის გაეროს სპეცმომხსენებელი, პროფესორი, სოციოლოგიის კათედრა, ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი, ანკარა, თურქეთი.

ელიზაბეტ ევატი (ავსტრალია) - ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის გაეროს კომიტეტის ექს-თავმჯდომარე, ექს-წევრი, ადამიანის უფლებათა გაეროს კომიტეტის ექს-წევრი და იურისტების საერთაშორისო კომისიის წევრი.

პოლ ჰანტი (ახალი ზელანდია) - ჯანმრთელობის უმაღლესი დონის მიღწევის უფლების გაეროს სპეცმომხსენებელი, ესექსის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი, დიდი ბრიტანეთი.

ასმა ჯახანგირი (პაკისტანი) - პაკისტანის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე.

მაინა კიაი (კენია) - კენიის ადამიანის უფლებათა ნაციონალური კომისიის თავმჯდომარე.

მილუნ კოთჰარი (ინდოეთი) - საკმარისი საცხოვრებლის უფლების გაეროს სპეცმომხსენებელი.

ჯუდიტ მესკიტა (დიდი ბრიტანეთი) - ესექსის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დიდი ბრიტანეთი.

ელის მ. მილერი (აშშ) - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დოცენტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა პროგრამის თანადირექტორი, აშშ.

სანჯი მმასენონო მონაგენგი (ბოტსვანა) - უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე (გამბიის რესპუბლიკა), ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკული კომისიის წევრი, რობენის სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციის კომიტეტის თავმჯდომარე (ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკული კომისია).

ვიტუტ მუნტარბორნი (ტაილანდი) - ადამიანის უფლებათა სიტუაციის გაეროს სპეცმომხსენებელი, ცულალონგკორის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, ტაილანდი (საქსპერტო შეხვედრის თანათავმჯდომარე).

ლოურენს მიუტი (კენია) - ადამიანის უფლებათა კენიის ნაციონალური კომისიის წევრი.

მანფრედ ნოვაკი (ავსტრია) - წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობის გაეროს სპეცმომხსენებელი, იურისტების საერთაშორისო კომისიის წევრი, ვენის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა პროფესორი, ლუდვიგ ბოლცმანის სახელობის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დირექტორი.

ანა ელენა ობანდო მენდოზა (კოსტა-რიკა) - ადვოკატი, ქალთა უფლებათა აქტივისტი, საერთაშორისო კონსულტანტი.

მაიკლ ო'ვლაერთი - (ირლანდია) - გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი, ნოტინგემის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა სფეროს ცენტრის პროფესორი და თანადირექტორი, დიდი ბრიტანეთი (მომხსენებელი ჯოკიაკარტას პრინციპების შემუშავებაზე).

სუნილ პანტი (ნეპალი) - ბლუ დაიმონდის საზოგადოების პრეზიდენტი, ნეპალი.

დიმიტრინა პეტროვა (ბულგარეთი) - თანასწორ უფლებათა ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

რუდი მუხამედ რეზკი (ინდონეზია) - საერთაშორისო სოლიდარობაზე გაეროს მომხსენებელი, პადიაჯარანის უნივერსიტეტის სამართლის მეცნიერებეთა ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი და დეკანის მოადგილე, ინდონეზია.

მერი რობინსონი - (ირლანდია) - „უფლებათა რეალიზება: ეთნიკური გლობალიზაციის ინიციატივა“, დამფუძვნებელი, ირლანდიის ექს-პრეზიდენტი, გაეროს ადამიანის უფლებათა ექს-უმაღლესი კომისარი.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) წარმოადგენს ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც ჰომოფობიის საკითხებზე მუშაობა 2002 წელს დაიწყო. 2003 წლიდან ორგანიზაცია მუშაობს ჰომოფობიური სიძულვილის ენის კვლევაზე ქართულენოვან მედიაში. 2005 წლიდან WISG-ის ქალთა უფლებების პროგრამა ფოკუსირებულია ლბტ ქალების გაძლიერებაზე საქართველოში.

Women's Initiatives Supporting Group (WISG) is a non-governmental organization working on women's rights in Georgia. WISG started to work on the issue of homophobia in 2002. Since 2003 WISG has been working on research and analysis of homophobic hate speech in Georgian media. Since 2005 its women's rights program has been focusing on LBT women's empowerment in Georgia.

A
T
E
W

1 Apt., 12a Bakhtrioni str., Tbilisi 0194 Georgia

(995 32) 238-01-03

info@women.ge

www.women.ge

www.lesbi.org.ge

www.minority.ge